საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-69. 6924185001**
თარიღი:**03/07/2024**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საღანძილეში მდებარე 23 412 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ36.14.33.083) შპს,,New Road”-ის ქვეკონტრაქტორი კომპანიის შპს ,,B.P TRANS”-ისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით სასყიდლით 2024 წლის 03 ივლისიდან 2025 წლის 22 აპრილის ჩათვლით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ქვეპუნქტის, 122–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე - 5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, შპს ,,New Road”-ის ქვეკონტრაქტორ კომპანიას შპს ,,B.P TRANS”-ს გადაცეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საღანძილეში მდებარე 23412 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ36.14.33.083) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, სასყიდლით 2024 წლის 03 ივლისიდან 2025 წლის 22 აპრილის ჩათვლით.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი